დანართი №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
შპს გრაალი

შეფასების თარიღ(ებ)ი 24-25 მაისი, 2022 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი 20 ივნისი 2022 წელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	**შპს გრაალი**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	404901166

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	**არა**
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	**დიახ**
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	**დიახ**
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	**არა**
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	**არა**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**თბილისი**
იურიდიული მისამართი	**თბილისი, პეტრე ქავთარაძის 24. ბ.25**
ფაქტობრივი მისამართი	**თბილისი, ირაკლი გამრეკელის 51**
საფოსტო ინდექსი	**0186**
დაწესებულების ვებ-გვერდი	**https://graali.edupage.org/**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

დაწესებულების ელ-ფოსტა	skola-graali@mail.ru
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	0322238252
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	ქეთევან ლომინაძე-სახელაშვილი
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	599474341
ელ-ფოსტა	lominadzeqeti5@gmail.com

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	ავტორიზაციის პირობების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის არსებულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	24,25 მაისი. 2022 წელი
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	მაკა ნადარეიშვილი
წევრი (სახელი, გვარი)	ირმა ხუციშვილი
წევრი (სახელი, გვარი)	-
წევრი (სახელი, გვარი)	-
წევრი (სახელი, გვარი)	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☒	☐
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☒	☐
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- --------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)**	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)**	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)**	☒	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)**	☒	☐
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)**	☒	☐
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☒	☐
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*ხარვეზი*
ქვესტანდარტი	*1.1.*	-
	1.2.	-
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.1.*	-
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი	*1.1.*	სასკოლო სასწავლო გეგმაში დეტალურად გაიწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული / გაუთვალისწინებელი მომსახურებათა ჩამონათვალი, მათი მიზნები და პროგრამები. ეს სკოლას საშუალებას მისცემს მისიით გათვალისწინებულ ყველა ელემენტს მიაქციოს სათანადო ყურადღება.
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	-
ქვესტანდარტი	2.1.	-
		-
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	-
ქვესტანდარტი	3.1.	-
		-

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	სკოლის საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს, ის, რომ სკოლის ბიბლიოთეკა ერთი სასწავლო წლით აძლევს სასკოლო სახელმძღვანელოებს იმ მოსწავლეებს, ვისაც ამის საჭიროება აქვთ. სკოლა თანამშრომლობს საქართველოში იტალიის საელჩოსთან. მოსწავლეები და მასწავლებლები ერთობლივად ახორციელებენ სასწავლო-შემეცნებით პროექტებს და იწვევენ იტალიის საელჩოს წარმომადგენლებს.

დაწესებულების მისია	შპს ,,გრაალი" არის კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც დამოუკიდებლად ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას და უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღებას საბაზო და საშუალო საფეხურზე ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დებულებაში განსაზღვრული მიზნები და ამოცანები შეესაბამება ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონს და ითვალისწინებს: ა) ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნას; ბ) მოზარდის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარებას, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფას, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, მოსწავლეთა ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებას, კულტურულ ფასეულობათა პატივისცემას, მოსწავლის მიერ ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელშეწყობას.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	სკოლას არ აქვს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება (2016წ). **<u>სტატუსი - დაკმაყოფილებულია</u>** მოსწავლეთა და მშობელთა აქტიური ჩართვა სასკოლო გეგმის შეფასებაში. (2016წ). **<u>სტატუსი - დაკმაყოფილებულია.</u>** ბიბლიოთეკაში არ მოიძებნა პერიოდული გამოცემები. (2016წ). **<u>სტატუსი - დაკმაყოფილებულია.</u>**

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 100	ექსპერტი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტი არ ეთანხმება ☐	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლამ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინა, 2021 წლის 3 სექტეემბერს პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებული, 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა. წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა შედგება შემდეგი ელემენტებისგან: **სასწავლო წლის კალენდარი**, რომელიც თანხვედრაშია ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ სასწავლო კალენდართან, რაც გულისხმობს; სასწავლო წლის დასაწყისსა და დასასრულს, სასკოლო არდადეგებსა და დასვენების დღეებს; დღის წესრიგს - გაკვეთლებისა და შესვენების ხანგრძლივობას. **საათობრივი ბადე**, რომელიც ეფუძნება სკოლის პრიორიტეტებს. სკოლას IX კლასში დამატებული აქვს ინგლისური ენის კვირეულ დატვირთვას 1 საათი და ჯამში 3 საათია, არჩევითის სახით სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს იტალიურ და რუსულ ენებს. საბაზო საფეხურზე სკოლას საათობრივ ბადეში უწერია "სამოქალაქო განათლება" ნაცვლად მოქალაქეობისა, გრიფირებული სახელმძღვანელოების განხილვისას გაირკვა, რომ აღნიშნულ საგანს ასწავლიან სახელმძღვანელოთი, რომელიც არის მოქალაქეობის სახელმძღვანელო. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა. სკოლას წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ ჰქონდა სპორტის სახეობები მითითებული, თუმცა საუბარში გაირკვა, რომ სკოლას სპორტულ სახეობად არჩეული აქვს მაგიდის ჩოგბურთი და კალათბურთი. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა. **გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხა** კლასებისა და საგნების მიხედვით. **დამატებით საგანმანათლებლო მრავალფეროვანი (წიგნები, აუდიო დისკები, თვალსაჩინოებები და ა.შ.) რესურსების ნუსხა** საგნების მიხედვით. **ინკლუზიური განათლების ზოგადი კონცეფცია**, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის იდენტურია, სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის მუშაობის გრაფიკი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- --------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------- ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს: დამრიგებლის მუშაობის მიზანს, დამრიგებლის ფუნქციებს, დამრიგებლის მუშაობის პრინციპებს. **მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, გაცდენები და სასკოლო გამოცდები**. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემა ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ შეფასების სისტემას. ქულობრივ შეფასებაში სკოლა მოსწავლეს აფასებს 2-დან 10 ქულამდე, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული საგნის შეფასების სქემებისა და რუბრიკების განხილვისას ჩვენ, ჩვეულებრივ ვხვდებით შეფასებას, გაწერილს 1 დან 10 ქულამდე. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა სკოლის ადმინისტრაციას აღნიშნულთან დაკავშირებით. ადმინისტრაციასთან საუბარში გაირკვა, რომ ეს იყოს ტექნიკური ხარვეზი, რომელიც ჩასწორებულ იქნა. **მოსწავლის აკადმიური მიღწევების აღიარება, გაცდენები, მოსწავლეთა შინ სწავლება.** <u>სასკოლო სასწავლო გეგმაში გამოყოფილის სახით არ არის წარმოდგენილი</u>: ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი დამატებითი მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა. თუმცა საათობრივი ბადის, მასწავლებელთა კვირეული დატვისთვის განხილვისას, ირკვევა, რომ სკოლა XII კლასის მოსწავლეებს არასავალდებულო სახით სთავაზობს დამატებით არასავალდებულო, არჩევით ფაკულტატურ საგნად: მათემატიკას დამატებით 2 საათი, ბიოლოგიას, ქიმიას, ფიზიკას, ისტორიას. ადმინისტრაციასთან, მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან საუბრისას გაირკვა, რომ : აღნიშნული საჭიროება მათ მოსწავლეების გამოკითხვების ანალიზიდან დაინახეს. აღნიშნული ასევე ჩანს სკოლის მიერ სასკოლო სასწავლო გეგმის გასაუმჯობესებლად ჩატარებული გამოკითხვის ანალიზში. <u>სასკოლო სასწავლო გეგმაში გამოყოფილის სახით არ არის წარმოდგენილი</u>: <u>არჩევითი საგნების ჩამონათვალი</u>, თუმცა საათობრივი ბადის ანალიზისას ვადგენთ, რომ სკოლაში ისწავლება „არჩევითი საგნები“, ხოლო საგნობრივი პროგრამების განხილვისას ვხედავთ, რომ სკოლა ასწავლის: ეკონომიკა და სახელმწოფოს - XII კლასი ; მეწარმეობის საფუძვლებს - X კლასი; სახელმწიფო და სამართალს - XI კლასი. პედაგოგიური საბჭოს ოქმში აღნიშნულია არჩევითი, ამ კონკრეტული არჩევითი საგნების შესახებ. გარდა ამისა არჩევითი საგნები ასევე მოცემულია მოქმედ გაკვეთილების ცხრილში. რაც შეეხება ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ მომსახურეობას, სკოლის ადმინისტრაციასთან საუბრისას გაირკვა, რომ აღნიშნულისგან პანდემიის პერიოდში თავს იკავებენ და მომავალი სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

	წლიდან, გეგმავენ კვლავ შესთავაზონ მოსწავლეებს დამატებითი საინტერესო მომსახურება. **ქვესტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით, სკოლას მიეცა რეკომენდაცია:** სასკოლო სასწავლო გეგმაში დეტალურად გაიწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული / გაუთვალისწინებელი მომსახურებათა ჩამონათვალი, მათი მიზნები და პროგრამები. გაწერილი მიზნები და პროგრამები სკოლას საშუალებას მისცემს მისიით გათვალისწინებულ ყველა ელემენტს მიაქციოს სათანადო ყურადღება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სასკოლო სასწავლო გეგმა; სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების პედაგოგიური საბჭოს ოქმი; საგნობრივი პროგრამები - თემატურ კალენდარული გეგმები; გაკვეთლების მოქმედი ცხრილი; ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუ სკოლის მოსწავლეებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მიერ წარმოდგენილი ზოგადი დებულების საფუძველზე, ნათელია, რომ სკოლაში ფუნქციონირებს სამი საგნობრივი კათედრა: 1. საზოგადოებრივი მეცნიერების, სპორტისა და ესთეტიკის კათედრა; 2. ზუსტი და საბუნებისმეტველო მეცნიერებების კათედრა; 3. ქართული და უცხო ენების კათედრა. კათედრებზე გაერთიანებულია საგნობრივ ჯგუფში შემავალი ყველა მასწავლებელი; სკოლის ზოგად დებულებაში გაწერილია საგნობრივი კათედრის ფუნქცია. სკოლამ ვიზიტისას წარმოადგინა საგნობრივი კათედრების პორტფოლიო რომელიც მოიცავდა: ინფორმაციას საგნის მასწავლებლის შესახებ; წლიურ საგნობრივ პროგრამას; თემატურ კალენდარს, გაკვეთილის გეგმებს, შემაჯამებელ დავალებებსა და მათ ანალიზს, კომპლექსურ დავალებებს: პირობას და მოსწავლეთა ნამუშევრებს. ზოგიერთ პორტფოლიოში ასევე მოცემული იყო კოლეგებს შორის გამოცდილების გაზიარების მიზნით გამართული შეხვედრების შინაარსი (მაგალითად google forms-ის ფუნქციონირება, მისი დახმარებით ტესტებისა და სხვადასხვა დავალებების შექმნა).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

	შემაჯამებელი, შერეული ტიპის ტესტური (ღია და დახურული პასუხით) და კომპლექსური დავალებები, მათი შეფასება და ანალიზი. შემაჯამებელი დავალებების განხილვისას გამოიკვეთა, რომ სკოლა მოსწავლეებს სხვადასხვა ტიპის შემაჯამებელ დავალებას სთავაზობს, მათ თან ახლავთ შეფასების სქემები. თითოეულ კლასში გამოკრულია შემაჯამებელი დავალებების გრაფიკი სემესტრის განმავლობაში საგნების მიხედვით. სკოლის მიერ წარმოდგენილ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, ვეცნობით, რომ იგეგმებოდა სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტი, სწავლების სხვადასხვა საფეხურზე. სკოლამ ვიზიტისას წარმოადგინა სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტი, რომელიც გათვალისწინებული ჰქონდა / არ ჰქონდა ერთწლიან გეგმაში. სკოლის ადმინისტრაციასთან მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან საუბრისას გაირკვა, რომ სკოლამ ასევე შეძლო სხვადასხვა საინტერესო, გამორჩეული გაკვეთილების ჩატარება. მათ შორის აღსანიშნავი იყო პროექტი, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები საკუთარი ხელით ქმნიდნენ სხვადასხვა სამკაულებს, შემდეგ ყიდდნენ ახალი სამუშაო მასალის შესაძენად. ინტერვიურებისას, მოსწავლეებმა ასევე გამოარჩიეს გაკვეთილები ქიმიასა და ბიოლოგიაში. აღნიშნულ გაკვეთილებზე მათ შექმნეს მოდელები (პლასტელინებით), ხოლო შემდეგ ისაუბრეს შექმნილ მოდელებზე. მოსწავლეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ამგვარ გაკვეთილზე განსაკუთრებით საინტერესო იყო ის, რომ თვითონ ქმნიდნენ მოდელებს, იყვნენ აქტიური მონაწილეები, შემდეგ აღწერდნენ პროცესს და საჭიროების შემთხვევაში დემონსტრაციასაც ახდენდნენ. გამორჩეული და საინტერესო იყო ასევე ისტორიის პროექტი - „სახელმწიფოს მართვის ფორმები“, რომელშიც მოსწავლეებმა, ფაქტობრივი ცოდნიდან გადაინაცვლეს მაღალი სააზროვნო უნარებისკენ და გამართეს დისკუსია. აღნიშნული პროექტები ხელს უწყობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებას, რადგან ისინი მიმართულია როგორც საგნობრივი ცონის დაგროვებაზე, ასევე საჭირო უნარჩვევების (სოციალური უნარები, გუნდური აზროვნება და ა.შ.) შეძენა-განვითარებაზე. გარდა ამისა სკოლის ვებგვერდი https://graali.edupage.org/ მოწმობს სასწავლო პროცესის მრავალფეროვნებაზე, აქ ჩვენ შევხვდებით, მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალების შედეგს „ჩემი ზოოპარკი“ და ა.შ. გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, სკოლაში განხორციელებულ პროექტებზე მეტყველებს კედელზე გამოკრული, მოსწავლეების მიერ შექმნილი წიგნები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

	დაძველების ეფექტით, წიგნები შექმნილი იყო მეცხრე კლასის მოსწავლეების, ქართულისა და ხელოვნების მასწავლებლის დახმარებით, თემაზე - რაინდთა სახეები „ვეფხისტყაოსანში“.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	საგნობრივი პროგრამები და კომპლექსური დავალებები; საგნობრივი კათედრის პორტფოლიო; სკოლის ვებგვერდი https://graali.edupage.org/ ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან; ინტერვიუ სკოლის მასწავლებლებთან; ინტერვიუ სკოლის მოსწავლეებთან;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო გეგმის, ერთწლიანი სამოქმედო გეგმისა და შესრულებული პროექტების შესწავლიდან ჩანს, რომ სკოლა აღიარებს თითოეული მოსწავლის უნიკალურობას და გამოხატავს მზაობას უზრუნველყოს ისინი სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სასკოლო სასწავლო გეგმაში, წარმოდგენილია ინკლუზიური განათლების პრინციპები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის მუშაობის სავარაუდო გრაფიკი. ადმინისტრაციისა და მასწავლების ინტერვიურებისას გაიკრვა, რომ ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	საგნობრივი კათედრის პორტფოლიო (პროექტები); სასკოლო სასწავლო გეგმა; ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან; ინტერვიუ სკოლის მასწავლებლებთან;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს შეფასების მიზნები და წესი, რომელიც შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. მოსწავლის აკადემიური მოსწრება ფასდება 10 ქულიანი სისტემით 5 დონის მიხედვით. კათედრების მიერ წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალებები შეადგენს როგორც ტესტურ, ასევე კომპლექსური დავალებებს. ვიზიტის პერიოდში, სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა მიერ შესრულებული სხვადასხვა ტიპის და მათ შორის კომპლექსური დავალებები, მასწავლებლეთა მიერ შეფასებები და ანალიზი. შეფასების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ შემაჯამებელი დავალებები ტესტური (შერეული ღია და დახურული კითხვებით) ხასიათისაა, შეფასების ანალიზი კი ზოგად ხასიათს ატარებს, თითოეული მასწავლებელი არ განიხილავს მას ინდივიდუალურად, მოსწავლის მიღწევებზე მორგებულად და გაცემული რეკომენდაციაც ზოგადი ხასიათისაა. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი შემაჯამებელი დავალების ანალიზი იყო კონრეტული და კონკრეტული მოსწავლის საჭიროებას მორგებული. მასში მოცემული იყო მოსწავლის ძლიერი მხარე - რა შეასრულა კარგად და ასევე გასაუმჯობესებელი მხარე. სკოლის ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან საუბრისას და ასევე მასწავლებელთა საქაღალდეების ანალიზისას გაირკვა, რომ სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა ტიპის დავალებას, ეს შეიძლება იყოს: პრეზენტაცია, დისკუსია, არგუმენტირებული ესე, წყაროს ანალიზი და ა.შ. ზოგიერთ საქაღალდეში, მოცემული იყო სოლო ტაქსონომიის შეფასების ნიმუშები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	მასწავლებელთა პროტფოლიო; შემაჯამებელი დავალებების ანალიზი; საგნობრივი პროგრამები - წლიური გეგმები; ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან; ინტერვიუ სკოლის მასწავლებლებთან; ინტერვიუ სკოლის მოსწავლეებთან;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მშობელთა ინფორმირების წესი გაწერილია სკოლის შინაგანაწესში - თავი V მოსწავლეთა მასწავლებელთა და მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა უფლებების დაცვის გარანტიები, მუხლი 15. მშობელთა ინფორმირების წესი. აღნიშნულ დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ მშობლების ინფორმირების ერთ-ერთი წყარო არის სკოლის ვებგვერდი და მასში ჩაშენებული ელექტრონული ჟურნალი schoolbook.ge, გარდა ამისა, ელექტრონული ფოსტა, სატელეფონო ზარი, დაწესებულების განცხადებების დაფა და სხვა. მშობლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ დამრიგებლებს ინდივიდუალური კომუნიკაცია აქვთ მშობლებთან საჭიროებისამებრ, გარდა ამისა მშობლებმა აღნიშნეს, რომ საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით იმართება მშობელთა კრება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	შპს გრაალის შინაგანაწესი; სკოლის ელექტრონული ჟურნალის schoolbook.ge - ის დათვალიერება; ინტერვიუ მშობლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშვებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ (18.09.2021 ბრძანება N1/კ-13) და მოიცავს 12 დანართს. დანართების შესწავლისას ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ ისინი (დანართები) კითხვარების ხასიათისაა, ეს არის: მოსწავლის მიერ მასწავლებლისა და საგნის შეფასების კითხვარი; სასკოლო რესურსის შეფასების კითხვარი (შემფასებელი მასწავლებელი, მოსწავლე, სკოლის ადმინისტრაცია); ბიბლიოთეკისა და ბიბლიოთეკარის შეფასების კითხვარი; ინფორმაციული ტექნოლოგიების შეფასების კითხვარი; მოსწავლის მიერ სასკოლო დისციპლინისა და მასწავლებლის შეფასების და მოსწავლეთა ინტერესის გამოსაკვლევი კითხვარი; მასწავლებლის შეფასების კითხვარი; სტატისტიკისა და ანალიზის დოკუმენტი; მასწავლებლის თვითშეფასების კითხვარი; სკოლის ადმინისტრაციის მიერ მასწავლებლის შეფასების კითხვარი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

	სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გაირკვა, რომ აღნიშნული კითხვარების მიზანი არის ინფორმაციის მიღება. შემდეგ მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შეაქვთ ცვლილებები სასწავლო გეგმაში. ასევე გამოგზავნილია გასული სასწავლო წლების ანალიზი. ანალიზში ვკითხულობთ, რომ მოსწავლეებმა გამოკვეთეს რამდენიმე მიმართულება: მაგალითად, საშინაო დავალების კომპონენტში - „ნაკლებად იყოს გამოყენებული გაკვეთილის მოყოლით ჩაბარების მეთოდი“. ექსპერტთა ჯგუფისთვის საინტერესო აღმოჩნდა აღნიშნული კომენტარი, რადგან სწავლა-სწავლების პრინციპი გააზრებულ დასწავლაზე აკეთებს მთელს აქცენტს, მართლაც თხრობით რაიმე ტექსტის გადმოცემა ამ შემთხვევაში ყველაზე ნაკლებად ეფექტურია, შესაბამისად, მოსწავლეთა რეკომენდაცია-კომენტარი სავსებით სამართლიანი და საინტერესოა. სწორედ ამიტომ, ექსპერტთა ჯგუფმა საჭიროდ მიიჩნია შესაბამისი შეკითხვა დაესვა სკოლის ადმინისტრაციისთვის, მასწავლებლებისთვის და მოსწავლეებისთვის. აღნიშნულის შესახებ, მოსწავლეებთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ მათ ხშირად აქვთ განსხვავებული ფორმატის დავალებები: პრეზენტაციები არა მხოლოდ ციფრული ვერსიით, არამედ მატერიალურით (ერთობლივ ფორმატზე მუშაობით), მართავენ დისკუსიებს. ამავე ანალიზში ვხვდებით ისევ, მოსწავლეთა კომენტარს, რომ მეტად საინტერესო იქნებოდა პრაქტიკული გაკვეთილები - ლაბორატორიული სამუშაოები საბუნებისმეტყველო საგნებში. აღნიშნულის თვალსაზრისით, შესაძლებელია დასტურად და ამის საპასუხოდ მივიჩნიოთ სკოლაში განხორციელებული ლაბორატორიული გაკვეთილი „ზიარჭურჭელი“, რომლის ამსახველი ფოტო მასალა სკოლის ვებგვერზეც არის განთავსებული. ასევე მასწავლებებისა და მოსწავლეების ინტერვიურებისას გაირკვა, რომ იყენებდნენ ვირტუალურ ლაბორატორიას, რომელიც ხელმისაწვდომია ინტერნეტ სივრცეში (ვიდეო რესურსებს). სკოლამ ვიზიტისას ექსპერტების ჯგუფს წარუდგინა ხარისხის განვითრების განახლებული დოკუმენტი რომელიც გარდა ამ დანართებისა, ითვალისწინებს წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებსა და ხარისხის უზრუნველყოფას სკოლაში: მშობელთა ჩართულობას, უსაფრთხო და მოწესრიგებული გარემოს შექმნის ხელშეწყობას; მომხმარებლის აზრის კვლევას; შედეგების SWOT ანალიზს. დოკუმენტაციის წარმოებისათვის, საკუთარი პროგრესის უკეთ დასანახად სკოლას მიეცა რჩევა: ყოველწლიური ანალიზის შემდეგ ასევე წერილობით შეიმუშავონ ის თუ რა შეიცვალა კონკრეტული კვლევის შედეგად. ეს შეიძლება იყოს რეკომენდაცია - პრობლემიდან გამომდინარე, მაგალითად სწავლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მეთოდის ცვლილება და ა.შ. ასეთი ტიპის დოკუმენტი სკოლას გაუიოლებს მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დანახვას. რა იყო პრობლემა, როგორ (რა გზით) გადაჭრეს ის და თუ მოიტანა ამან სასურველი შედეგი (კვლევა-ინტერვენცია-შედეგების ანალიზი).
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სკოლის დირექტორის 18.09.2021 ბრძანება N1/კ-13 - სასკოლო სასწავლო გეგმის, ადამიანური და მატერიალური რესურსის შეფასების კითხვარის დამტკიცების შესახებ; სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიურება; სკოლის მასწავლებლებთან ინტერვიურება; სკოლის მასწავლეებთან ინტერვიურება; პროექტები / გაკვეთლის გეგმები ;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	-
რჩევები:	საკუთარი, სკოლის, პროგრესის უკეთ სანახავად, ყოველწლიური გამოკითხვის შედეგად მიღებული ანალიზის საფუძველზე, გამოყონ პრობლემა, დაასახელონ პრობლემის გადაჭრის გზა და ამოცანები. შემდეგ მიღებული შედეგების კვლევა. აღნიშნული ქმედება გამოკვეთს თვალნათლივ თუ როგორ განიცდის სკოლა (სასწავლო პროცესი) პროგრესს და მომავალში რა უნდა გაითვალისწინონ. (კვლევა, გადაჭრის გზები, ინტერვენცია და დაკვირვება)
ხარვეზები:	-
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა მდებარეობს დამოუკიდებლად მდგარ სამსართულიან შენობაში (კერძო სახლი). შენობას წინ და უკან აქვს პატარა ეზო (ინდივიდუალურ საკუთრებაში). საჯარო რეესტრიდან ამონაწერის თანახმად მიწის ფართობისა და მასზე მდგარი შენობის მესაკუთრეა კერძო პირი, დამქირავებელი კი შპს გრაალი. ხელშეკრულება (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N882016531295) თარიღდება 2016 წლით და ვადა აქვს 5 წელი. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად ხელშეკრულების ვადა გასულია. ექსპერტთა ვიზიტის დროს, სკოლამ წარადგინა მხარეთა შორის დადებული განახლებული ხელშეკრულება და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ხელშეკრულების დარეგისტრირების განაცხადი. სკოლამ განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრში, არგუმენტირებული პოზიციის დასადასტურებლად წამოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. რომელიც ადასტურებს, რომ შპს „გრაალი“ 6 წლის ვადით ქირაობს ქ. თბილისი, ირაკლი გამრეკელის ქუჩაზე N51 მდებარე შენობა-ნაგებობასა და მიწის ფართობს (სკოლის შენობასა და ეზოს). *(იხ. დანართიN1 ამონაწერი საჯარო რესტრიდან)*
ფაქტობრივი მისამართი	**ქალაქ თბილისი, გამრეკელის 51**
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	**N 01.14.02.025.048**
კვ.მ.	**შენობა ნაგებობის საერთო ფართი: 536.87** **დაზუსტებული ფართობი: 665.00 კვ.მ**
მტკიცებულებები/ინდიკატორები	ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N882016531295; საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ხელშეკრულების დარეგისტრირების განაცხადი N 882022353350; ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- --------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შიდა აზომვითი ნახაზი; ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 88202242275.
შეფასება	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა განთავსებულია შენობის სამივე სართულზე, **პირველ სართულზე** დიდი შესასვლელი სადაც დგას მაგიდის ჩოგბურთის სათამაშო მაგიდა, ბიბლიოთეკა, ექიმის კაბინეტი და საიზოლაციო სივრცე, ერთი იზოლირებული სველი წერიტილი. **მეორე სართულზე** მდებარეობს ორი საკლასო ოთახი, ერთი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ადმინისტრაციის და სამეთვალყურეო კამერების ოთახი, ორი ინდივიდუალური სველი წერტილი, მათ შორის ერთი ადაპტირებული. **მესამე სართულზე** ექვსი საკლასო ოთახი და ორი ინდივიდუალური სველი წერტილი. საკლასო ოთახები აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებით (საკლასო ოთახებში ჯამში არის 118 ინდივიდუალური მერხი). თითო საკლასო ოთახში დგას კომპიუტერი (პერსონალური და ვიდეოთვალი ან პორტატული კომპიუტერი - ლეპტოპი). თეთრი დაფა, თვალსაჩინოებები (რუკა, პოსტერები და სხვა თვალსაჩინოება). ყველა საკლასო ოთახს აქვთ ბუნებრივი განათება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება; ნაჩუქრობის დოკუმენტი; სასაქონლო ზედნადები
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას არ აქვს სპროტული დარბაზი, სპორტის გაკვეთილების ჩასატარებლად, სივრცედ იყენებენ სკოლის ეზოს და მასში მდებარე ცარიელ აუზს. ცარიელ აუზში დამონტაჟებულია კალათბურთის ფარი. მოსწავლეები აუზის სივრცეში ჩასასვლელად დამონტაჟებული რკინის კიბით სარგებლობენ, ჩადიან და თამაშობენ კალათბურთს. გარდა ამისა, სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, შენობის შესასვლელი (ჰოლი) ითავსებს სპორტული დარბაზის ფუნქციას, მოსწავლეები თამაშობენ მაგიდის ჩაგბურთს სპორტის გაკვეთილებზე. ადმინისტრაციის განმარტებით გარდა მაგიდის ჩოგბურთისა და კალათბურთისა სკოლა მოსწავლეებს სპორტის სახეობად სთავაზობს ჭადრაკს. აღნიშნული ფაქტორები არ არის საკმარისი სპორტის გაკვეთილების სრულფასოვნად ჩასატარებლად. სპორტის გაკვეთილების ხარისხიანად ჩასატარებლად აუცილებელია სპორტული დარბაზი, სტადიონი ან/და სხვა სივრცე. ადმინისტრციასთან საუბარში გაირკვა, რომ სამომავალოდ შესაძლებელია, კანონმდებლობის შესაბამისი რეგულაციების დაცვით, აუზის ამოქმედება, უახლოეს მომავალში კი შესაძლებელია ახლომდებარე მუნიციპალურ სტადიონთან ხელშეკრულების გაფორმება. <u>სკოლამ განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრში, არგუმენტირებული პოზიციის დასადასტურებლად წამოადგინა</u> 6 წლიანი ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებულია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა ნუცუბიძე 101-ის თავჯდომარესა და შპს გრაალის სკოლის დირექტორს შორის. აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით, სკოლას უფლება აქვს ისარგებლოს სპორტული მოედნით ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 09:00 საათიდან 15:00 საათამდე. *(იხ. დანართი N2 სპორტული მოედნის სარგებლობის ხელშეკრულება ამხანაგობასთან; დანართი N3 ამხანაგობის თავჯდომარე; დანართიN4 ამხანაგობა ნუცუბიძე 101)*
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება; ინტერვიუ ადმინისტრაციასთან; ხელშეკრულება ამხანაგობა ნუციბიძე 101-თან (დანართი N2); ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობის წერილი - ნუცუბიძე 101-ს თავჯდომარედ არჩევის შესახებ (დანართი N3); ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობა, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვის ფურცელი N214-24 (დანართი N4).
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას მეორე სართულზე აქვს საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია. ლაბორატორიაში არის ონკანი, არ არის გამწოვი. ლაბორატორიას აქვს ორი დიდი ფანჯარა. სკოლას აქვს "სასკოლო ლაბორატორიის გამოყენების წესი" - დებულება (დამტკიცებული 2022წლის 18 აპრილს). ლაბორატორიით სარგებლობის წესი გამოკრულია ლაბორატორიაში. ლაბორატორიის კარადები არ იკეტება, თუმცა იკეტება ლაბორატორიაში მდებარე სივრცე რომელშიც განთავსებულია ეს კარადები. სკოლას აქვს ლაბორატორიის შესყიდვის დოკუმენტაცია, რომელიც თარიღდება 2011-2012 წლით, თუმცა პერიოდულად საჭიროებისამებრ სკოლა ანახლებს ლაბორატორიის შემადგენელ ელემენტებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სასკოლო ლაბორატორიის გამოყენების წესი" - დებულება (დამტკიცებული 2022წლის 18 აპრილს); შესყიდვების დოკუმენტი ვიზუალური დათვალიერება;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	საკლასო ოთახებს აქვთ ბუნებრივი განათება, სკოლას უწყვეტად მიეწოდება ელექტროენერგია. სკოლაში დამონტაჟებულია ბუნებრივ აირზე მომუშავე ცენტრალური გათბობის სისტემა. სველი წერტილები განლაგებულია სკოლის სამივე სართულზე (პირველ სართულზე - ერთი, მეორეზე ორი და მესამეზე ორი, ყველა სველი წერტილი არის ინდივიდუალური). ყველა სველ წერტილში დამონტაჟებულია ხელსაბანი. სველი წერტილები მოწესრიგებულია და დაცულია ჰიგიენური ნორმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	საგადასახადო დავალებები; ვიზუალური დათვალირება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობის პირველ სართულზე მდებარეობს ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკა მოიცავს მინით გამიჯნულ ოთახს და სამკითველო დარბაზს. საცავი და სამკითხველო დარბაზი ერთ სივრცეშია. ბიბლიოთეკარმა წარმოადგინა ინვენტარიზაციის წიგნი. წიგნების მოძრაობის აღრიცხვის ჟურნალი, მოსწავლეთა ბარათები. წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და აღრიცხულია როგორც ინვენტარიზაციის წიგნში ასევე ელექტრონულად. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 2066 ერთეულს, სასწავლო წიგნებსა და მხატვრულ ლიტერატურას. ბიბლიოთეკაში ასევე არის პერიოდული გამოცემა „national geographic“ და „ახალი განათლება“. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერი და პრინტერი (კომბარინი), დიდი პორტატული მონიტორი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება; მიღება-ჩაბარების აქტი; ბიბლიოთეკის ფონდის ელექტრონული ვერსია; ინვენტარიზაციის წიგნი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. სკოლას აქვს ადაპტირებული შესასვლელი. პირველი სართულიდან მეორე სართულზე ასავლელ კიბეზე დამონტაჟებული რკინის ფიქსირებული პანდუსი. მეორე სართულზე აქვს ადაპტირებული ინდივიდუალური სველი წერიტილი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას საერთო ჯამში აქვს 18 კომპიუტერი, მათ შორის 7 ლეპტოპი. აღსანიშნავია ერთ-ერთ საკლასო ოთახში დგას 9 კომპიუტერი, რომელიც ქსელურად იმართება. ისინი არ არიან დაკავშირებული ინტერენეტის მუდმივ წყაროსთან, მათი დაკავშირება შესაძლებელია მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში. აღნიშნულ კომპიუტერებს სკოლა ძირითადად სასწავლო პროცესში იყენებს როგორც ქსელში სამუშაო რესურსს და საშუალებას. მასწავლებელი მოსწავლეებს ძირითადი კომპიუტერიდან უზიარებს საჭირო დოკუმენტს და მოსწავლეები კი ინდივიდუალურად მუშაობენ აღნიშნულ დოკუმენტებზე. აღნიშნული ადმინისტრაციის კომპიუტერი ჩართულია ინტერნეტის ქსელში, მასზე წვდომა აქვს ყველა მასწავლებელს ინდივიდუალური მომხმარებლის სახელით. გარდა ამისა საკლასო ოთახები აღჭურვილია თითო პერსონალური კომპიუტერით, რომელსაც ვიდეო თვალი ახლავს ან ლეპტოპით, რომელიც ჩართულია ინტერნეტ ქსელში. ასევე ბიბლიოთეკაში, პრეზენტაციისა თუ სხვა დანიშნულებისათვის დგას დიდი პორტატული მონიტორი, ერთი კომბაინი, ორი პროექტორი. სკოლას აქვს ვებგვერდი https://graali.edupage.org/ რომელსაც აქვს პორტალის ფუნქცია, შესაძლებელია ავტორიზაციის გავლა და პორტალზე შესვლა რაც იძლევა დამატებით შესაძლებლობებს. ადმინისტრაციასთან საუბრით გაირკვა, რომ პროტალზე რეგისტაციის გავლის შემდეგ, მომხმარებლისთვის ინფორმაცია უფრო დეტალური და ამომწურავია, ვიდრე მხოლოდ თავისუფალი „სტუმრისთვის“. ვებ გვერდს აქვს როგორც საინფორმაციო ასევე საკომუნიკაციო დატვირთვა, სურვილისა და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია შეკითხვის დასმა. ასევე ორიენტაციისთვის საიტზე მოცემულია სკოლის მდებარეობა - რუკა. საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებს სკოლის ელექტრონული ფოსტა: skola-graali@mail.ru და სქულბუქი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება; ნასყიდობისა და ნაჩუქრობის ხელშეკრულება; სკოლის ვებგვერდი https://graali.edupage.org/
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს "ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმები" (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით 18 აპრილს 2022 წელს), აღნიშნული დოუმენტის მიხედვით სკოლა უზრუნველყოფს: კუთვნილი ქონების დაცვას, სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფას; სამედიცინო დახმარების აღმოჩენას სკოლის შენობაში და მის ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი პირისათვის, რომელიც საჭიროებს აღნიშნულ დახმარებას; საჭიროების შემთხვევაში შენობაში მყოფთა ევაკუაციის უზრუნველყოფა. 8 ცეცხლმაქრი და საევაკუაციო გეგმა დამაგრებული და გამოკრული საევაკუაციო გეგმის შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმები; ვიზუალური დათვალიერება; საევაკუოცაიო გეგმები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შენობა - ნაგებობის საევაკუაციო გეგმა შემუშავებულია სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მიერ. საევაკუაციო გეგმა გამოკრულია სამივე სართულზე და აღნიშნული გეგმის მიხედვით განლაგებულია ცეცხლმაქრები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას არ ჰყავს პედიატრი /მკურნალი ექიმი, ჰყავს ექიმი-თერაპევტი. სკოლას აქვს სტანდარტების შესაბამისად აღჭურველი ექიმის კაბინეტი. კაბინეტში არის საკაცე, სამედიცინო ტახტი, კარადები, ექიმის მაგიდა, ერთი ლეპტოპი. სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილია ძირითადი (გათვალისიწნებული) პრეპერატებით. ექიმი (დასაქმებული პირი) აწარმოებს ჟურნალს სადაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- --------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	აღრიცხავს ყველა იმ მოსწავლეს, რომელმაც მიმართა ჩივილებით, აფიქსირებს მიმართვის დროს, ჩივილების რაობას და გაწეულ დახმარებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ექიმის სამუშაო ჟურნალი; ინტერვიუ დასაქმებულ პირთან; ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა ხელმძღვანელობს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით (ბრძანება N06/ნ, 29.01.2019) დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობებით.“ სკოლას შემუშავებული აქვს დებულება: „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება შპს გრაალის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“. აღნიშნული დოკუმენტი მოცავს: უსაფრთხოებისა და საზოგადოების წესრიგის დაცვის მექანიზმებს, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელ პრევენციულ ღონისძიებებს, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელ ღონისძიებებს. მიუხედავად მკაფიოდ გაწერილი დოკუმენტისა, ეზოში მდებარე ცარიელი აუზი საფრთხეს წარმოადგენს და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მოსწავლეთათვის ფიზიკურ უსაფრთხო გარემოს. **სკოლამ განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრში, არგუმენტირებული პოზიციის დასადასტურებლად წამოადგინა**: დამადასტურებელი დოკუმენტაცია - ფოტო სურათები - აუზის სივრცის გამიჯნვის შესახებ. ფოტოებიდან ჩანს, რომ აუზის მიმდებარე სივრცე სკოლის ეზოსგან გამოყოფილია რკინის ჭიშკრით და მას ადევს ბოქლომი. გარდა ამისა, სკოლამ უკვე არსებული კამერების რიცხვს დაამატა კამერები. ერთ-ერთი მათგანი მიმართულია აუზზე გასასვლელი კარისკენ, დანარჩენი კი გადანაწილებულია სკოლაში სხვადასხვა სივრცეებზე. *(იხ. დანართი N5 ფოტოსურათი; დანართი N6 ფოტოსურათი; დანართი N7 ფოტოსურათი; დანართი N8 ფოტოსურათი; დანართი N9 ფოტოსურათი; დანართი N10 ფოტოსურათი; დანართი N11 ფოტოსურათი; დანართი N12 ფოტოსურათი; დანართი N13 ფოტოსურათი; დანართი N14 ფოტოსურათი; დანართი N15 ფოტოსურათი).*
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	დებულება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება შპს გრაალი; უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები; ვიზუალური დათვალიერება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

	ფოტოსურათები (დანართი N5-დანართი N15 ჩათვლით).
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში სულ დამონტაჟებულია 9 ვიდეოკამერა. ორი აკონტროლებს სკოლის ეზოში შესასვლელს და წინ ეზოს, ერთი კამერა უკანა ეზოს, დანარჩენი კამერები განთავსებულია კიბის უჯრედებსა და სკოლის შიდა სივრცეში (დერეფნებში). ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლამ ერთ-ერთ კამერას, რომელიც დამონტაჟებული იყო ჰოლში, შეუცვალა მდებარეობა, რათა უკეთ გაეკონტროლებინა შემოსასველი კარი შიგნიდან და ასევე მეორე სართულზე ასასვლელი ერთ-ერთი კიბე. <u>ქვესტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით, სკოლამ განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრში, დამატებით წამოადგინა:</u> დამატებითი ვიდეოკამერების დამონტაჟების დამადასტურებელი ფოტო მასალა. შესაბამისად კამერების საერთი რიცხვი გაიზარდა 12-მდე. *(იხ. დანართი N10 ფოტოსურათი; დანართი N11 ფოტოსურათი; დანართი N12 ფოტოსურათი; დანართი N13 ფოტოსურათი; დანართი N14 ფოტოსურათი; დანართი N15 ფოტოსურათი).*
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება; ნასყიდობის დოკუმენტი; სკოლის მიერ წარმოდგენილი დამატებითი დოკუმენტაცია (დანართი N10 დან-15-ის ჩათვლით).
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული აქვს წესდება, შინაგანაწესი და სკოლის დებულება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

	წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, დებულებაში ვხედავთ, რომ სკოლის სტრუქტურა მოიცავს პარტნიორთა კრებას, სკოლის დირექციას, პედაგოგიურ საბჭოს, საგნობრივ კათედრებს, სკოლის ადმინისტრაციას, ხოლო სკოლის წესდებაში კი არის შესაბამისი ჩანაწერი: სკოლის სტრუქტურა მოიცავს სკოლის დამფუძნებელს, სკოლის დირექციას. ექსპერტთა ვიზიტის დროს, სკოლამ წარმოადგინა დებულების განახლებული ვერსია, რომელიც შესაბამისობაშია წესდებასთან და შინაგანაწესთან. სკოლის დებულებით განისაზღვრება საქმიანობის სფერო, დაწესებულების სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულებისა და სკოლის ადმინისტრაციის ფუნქცია მოვალეობები. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია დოკუმენტის მოქმედების სფერო, სამუშაო და დასვენების დრო, წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა. დასაქმებულის მიმართ დისციპლინური სახდელები. მოსწავლის ქცევის წესები, მოსწავლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები, მოსწავლის დისციპლინური სახდელის სახეები. ექსპერტთა ვიზიტისას სკოლამ დამატებით წარმოადგინა შემდეგი: "საქმისწარმოების წესი" (დამტკიდებული 2021 წლის 29 დეკემბერს), პერსონალური ინფორმაციის დაცვის წესი (დამტკიცებულია 2022 18 აპრილს); წესში გაწერილია სკოლის ვალდებულებები, აღნიშნულია, რომ პერსონალთა მონაცემების დამუშავებისას სკოლა მოქმედებს " პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის და სხვა ნორმატიული აქტების, სახელმწიფო ინსპექტორის აპარატის რეკომენდაციების შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სკოლის შინაგანაწესი; სკოლის წესდება; სკოლის დებულება; "საქმისწარმოების წესი"; პერსონალური ინფორმაციის დაცვის წესი .
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული სამოქმედო ერთწლიანი (2021-2022) და ექვსწლიანი გეგები (2021-2027წწ), რომელიც გამომდინარეობს სკოლის მისიიდან. სამოქმედო გეგმა ეფუძნება SWOT ანალიზს, რომელიც გულისხმობს, დასაქმებული პირებისა და მოსწავლეთა საჭიროებებისა და მოთხოვნების შესწავლას. სტრატეგიული მიზნები და ძირითადი მიმართულებებია: ძლიერი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შექმნა; ზოგადი განათლების სფეროს განვითარება; სკოლის ბრენდის გაძლიერება; ჯანსაღი, უსაფრთხო და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა; კვალიფიციური და გამოცდილი ადამიანური რესურსის მოზიდვა, შენარჩუნება, პროფესიული განვითარების მხარდაჭერა; სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება, თანამედროვე მეთოდების დანერგვა; სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა; სკოლის კულტურის გაუმჯობესება; დაცულობის, კეთილგანწყობის,ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს შექმნა; ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება და სკოლის კომპიუტერიზაცია. გეგმაში გაწერილია კონკრეტული ამოცანები, შესრულების თარიღები და შემსრულებელი პირები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა; სკოლის ექვსწლიანი სამოქმედო გეგმა.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული და 2021 წლის 29 დეკემბერს დამტკიცებული აქვს "საქმის წარმოების წესი". დოკუმენტის მიხედვით სკოლაში აღირიცხება: შემოსული და გასული კორესპონდენცია, შრომითი ხელშეკრულებები, პედაგოგიური საბჭო, სკოლის დირექტორის ბრძანება, მოსწავლეთა მობილობის შესახებ ბრძანება და მოსწავლეთა მობილობის შესახებ დოკუმენტაცია. აღნიშნული დოკუმენტაცია აღრიცხულია შესაბამის ზონარგაყრილ და ბეჭედ დასმულ ჟურნალში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	შემოსული კორესპონდენციის ჟურნალი; გასული კორესპონდენციის ჟურნალი; შრომითი ხელშეკრულებების ჟურნალი; სკოლის დირექტორის ბრძანებების ჟურნალი; პედაგოგიური საბჭორს ოქმების ჟურნალი; მოსწავლეთა მობილობის შესახებ ბრძანებების ჟურნალი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	-
	-
რჩევები:	-
ხარვეზები:	-
	-
	-
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის სკოლას ჰყავს შესაბამისი აკადემიურ- ტექნიკური პერსონალი. მართვის საინფორმაციო სისტემის eschool მიხედვით სკოლაში 26 თანამშრომელია, სკოლას ჰყავს დირექტორი, დირექტორის მოადგილე.ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, საქმისწარმოების მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, ბუღალტერი, ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერი, სასწავლო პროცესის კოორდინატორი, უსაფრთხოების მანდატური, იურისტი, სკოლას შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული აქვს 15 პედაგოგთან, რაც უზრუნველყოფს საათობრივი ბადის სრულად დატვირთვას. მართვის საინფორმაციო სისტემის eschooის ბაზის, მასწავლებელთა ხელშეკრულებების, პირადი საქმეებისა და საშტატო განრიგის შესწავლით გაირკვა, რომ სკოლას ჰყავს 13 უფროსი მასწავლებელი, ხოლო 2 მასწავლებელს არ აქვს სტატუსი. 1 იტალიური ენის მასწავლებელი და 1 საგზაო ნიშნებისა და მოძრაობის უსაფრთხოების მასწავლებელი, რომელიც ამავე დროს არის დირექტორის მოადგილეს აღმზრდელობით დარგში. რაც შეეხება ექიმს, სკოლას გამოცხადებული აქვს კონკურსი ექიმის პოზიციაზე - http://teacherjobs.ge/42919 , ვაკანსიის შევსებამდე ექიმი თერაპევტი ასრულებს დროებით მოვალეობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სკოლის საშტატო განრიგი; განათლების მართვის სისტემა, Eschool-ბაზა; თანამშრომელთა ხელშეკრულებები; შინაგანაწესი; ინტერვიუ ადმინისტარციასთან; ინტერვიუ თანამშორმლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	15
უსტატუსო მასწავლებლი	2
მოწვეული/მაძიებელი	
პრაქტიკოსი მასწავლებლი	
უფროსი მასწავლებლი	13
წამყვანი მასწავლებლი	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

მენტორის სტატუსი	

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. სკოლის მასწავლებლების პირად საქმეებში სრულყოფილადაა წარმოდგენილი კვალიფიკაციისა და სტატუსთან შესაბამისობის დამდასტურებელი დოკუმენტაცია. დიპლომი, სერტიფიკატი, მასწავლებლის CV , არის ნასამართლეობის შესახებ ინფორმაციის დამადასტურებელი და სქესობრივი ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართ დანაშაულის ჩადენისათვის დამადასტურებელი ცნობა. 2 მასწავლებელი უსტატუსოა კერძოდ: იტალიური ენის მასწავლებელი და საგზაო ნიშნებისა და მოძრაობის უსაფრთხოების მასწავლებელი. სკოლის ადმინისტრაციულ -ტექნიკურ პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები და დამტკიცებულია მათი თანამდებობრივი ინსტრუქციები. ბიბლიოთეკართან , საქმისმწარმოების მენეჯერი, ექიმთან, ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორთან, ინტერვიუს საფუძველზე, შესაბამისი ფართის ვიზუალური დათვალიერებით, ცხადია, რომ მათი კვალიფიკაცია შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	მასწავლებელთა და სკოლის პერსონალის პირადი საქმეები; განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის -eschool-ის ბაზა; ხელშეკრულებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა „გრაალის“ შინაგანაწესი, რომელიც დამტკიცებულია შპს კერძო სკოლა „გრაალის“ დირექტორის N1/კ-3 შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ ბრძანების შესაბამისად , განსაზღვრულია წახალისებისა და დისციპლინური წარმოების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	წესი. შინაგანაწესში წარმოდგენილი (მუხლი 10) წახალისების ფორმებია:1. ფულადი პრემიის გაცემა 2. მადლობის გამოცხადება 3. ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება. შინაგანაწესის თავი IV მუხლი 11,12,13,14-მთლიანად ეთმობა დისციპლინური წარმოების წესს, სადაც დეტალურადაა აღწერილი დისციპლინური გადაცდომების ფორმები და შესაბამისი რეაგირება-სახდელები ვადის გათვალისწინებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სკოლის შინაგანაწესი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს კერძო სკოლა „გრაალის“ ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, რომელიც შედგენილია შრომის კოდექსის მოთხოვნის შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები შეიცავს ზოგად დებულებას, მხარეთა უფლება-მოვალეობას, სამუშაო დროს, შესვენების დრო, შესვენების მიცემის წესი, შრომის ანაზღაურების ოდენობა და ანაზღაურების წესი. მხარეთა პასუხისმგებლობისა და ზეგანაკვეთური ანაზღაურების წესი. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა. სკოლას 2021 წელს სექტემბერში გაფორმებული აქვს მასწავლებლებთან ერთწლიანი შრომითი ხელშეკრულებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	შრომითი ხელშეკრულებები; სკოლის შინაგანაწესი; პირადი საქმეები; ინტერვიუ ადმინისტრაციასთან; ინტერვიუ თანამშრომლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის დირექტორის 18.04.2022 წლის N7 ბრძანების შესაბამისად სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ დოკუმენტი, რის საფუძველზეც განსაზღვრულია სკოლის ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები. სკოლის მასწავლებლები იღებენ მონაწილეობას მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში . განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სკოლა „გრაალს“ შორის თანამშრომლობის საფუძველზე, გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები „ახალი სკოლის მოდელის“ შესახებ. პედაგოგებს უტარდებათ სკოლაში საგნობრივი ტრენინგები, სემინარები, სამუშაო შეხვედრები, გასაუბრების დროს მასწავლებლები აქტიურად საუბრობდნენ კათედრების ფარგლებში თანამშრომლობაზე ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით. სკოლის იურისტი, საქმისმწარმოებელი, ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი მონაწილეობას იღებენ შესაბამის ტრენინგებში. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმების განხორციელებას ხელმძღვანელობს-სკოლის დირექტორის მოადგილე. ყოველივე ეს ქმნის სკოლის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობ მექნიზმებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სკოლის დირექტორის 18.04.2022 წლის N7 ბრძანება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ; გაკვეთილზე დასწრების ფორმები; კათედრის ოქმები; პირადი საქმეები; ინტერვიუ ადმინისტრაციასთან; ინტერვიუ მასწავლებლებთან; ინტერვიუ სკოლის თანამშრომლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში, მიღებული ინფორმაციით დგინდება, რომ შპს „გრაალში“ არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო.ნებისმიერი ინიციატივა ხელშეწყობილია სკოლის დირექციისგან. სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად, სკოლა ზრუნავს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრისათვის თანამშრომლობითი ატმოსფეროს შესაქმნელად. სკოლის ყველა თანამშრომელს აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება, შექმნილია თანამშრომლობითი გარემო როგორც თანამშრომლებისათვის, ასევე მოსწავლეებისათვის ,სკოლის პერსონალის და მშობლებისთვის, რაც ხელს უწყობს მათი შესაძლებლობის რეალიზებას. მშობლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მაღალია მათი ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში და სისტემატიურად და მოსახერხებელი ფორმით ეძლევათ ინფორმაცია მათი შვილისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ. მშობლები ერთხმად აღნიშნავენ კმაყოფილებას სკოლის მიერ შექმნილი გარემოს თვალსაზრისით. სკოლაში ტარდება კლასგარეშე ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში ტოლერანტ, სამოქალაქო პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას. სკოლაში ადმინისტრაციის მიერ შემუშავებულ დოკუმენტებით განსაზღვრული თანამშრომლობისა, ფორმალური აქტივობებისა, არსებობს არაფორმალური აქტივობებიც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ინტერვიუები მოსწავლეებთან, მშობლებთან, მასწავლებლებთნ, სკოლის პერსონალთან; სკოლის შინაგანაწესი; სასკოლო სასწავლო გეგმა; მასწავლებლის პორტფოლიო.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

რჩევები:	-
ხარვეზები:	-
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი N1 ამონაწერი საჯარო რეესრიდან – 2 ფურცლად;
დანართი N2 სპორტული მოედნის სარგებლობის ხელშეკრულება ნუცუბიძე 101- 4 ფრუცლად;
დანართი N3 ამხანაგობის თავჯდომარე - 1 ფურცლად;
დანართი N4 ამხანაგობა ნუცუბიძე 101 – 1 ფურცლად;
დანართი N5 ფოტოსურათი – 1 ფურცლად;
დანართი N6 ფოტოსურათი– 1 ფურცლად;
დანართი N7 ფოტოსურათი– 1 ფურცლად;
დანართი N8 ფოტოსურათი– 1 ფურცლად;
დანართი N9 ფოტოსურათი– 1 ფურცლად;
დანართი N10 ფოტოსურათი– 1 ფურცლად;
დანართი N11 ფოტოსურათი– 1 ფურცლად;
დანართი N12 ფოტოსურათი– 1 ფურცლად;
დანართი N13 ფოტოსურათი– 1 ფურცლად;
დანართი N14 ფოტოსურათი– 1 ფურცლად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

დანართი N15 ფოტოსურათი– 1 ფურცლად.
სულ დანართი - 19 ფრუცელი.

თბილისი 20 ივნისი 2022 წელ

(შეკვეთის ადგილი) თარიღი

გვერდების რაოდენობა 38

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.